სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №52

ქ. თბილისი 07 მაისი 2018წ.

2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, „მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2018 წლის „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 23 იანვრის N10 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის სქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახური უფროსის 2018 წლის 4 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N533338) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 7 მაისის N52 ბრძანებით

კონკურსიდან მოხსნილი განაცხადები

N	პროექტის შიფრი	მოხსნის მიზეზი
1	SCR/ 34/ 4/2018	წარმოადგინილია ახალი ბიუჯეტი შემცირებული თანხით 7600 ლარით, თავდაპირველად წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციაში, კრეფსით ინფორმაციაში და ბიუჯეტში მითითებული იყო 10400 ლარი.
2	SCR/ 40/ 7/2018	ბიუჯეტის რეალური ჯამი შეადგენს 11188,46 ლარს, წარმოდგენილ ახალ ბიუჯეტში და თავფურცელში მითითებულია 11248,46 ლარი.
3	SCR/ 23/7/2018	პერსონალის საგრანტო დაფინანსება აღემატება პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 40%-ს;
4	SCR/ 26/ 9 /2018	პერსონალის საგრანტო დაფინანსება აღემატება პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 40%-ს;